

ეროვნული სტანდარტები სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO)

ყველაზე მსხვილი და ავტორიტეტული ორგანიზაცია ზემოსხენებული სამი ორგანიზაციიდან. **ISO**-ს სტანდარტები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ქვეყნების მოწინავე სამეცნიერო - ტექნიკურ გამოცდილებას, მიზნად ისახავენ პროდუქციისადმი

ერთიანი მოთხოვნების უზრუნველყოფას საერთაშორისო საქონელბრუნვაში, მაკომპლექტებელი ნაკეთობების ურთიერთშენაცვლებადობის, გამოცდის მეთოდების ერთიანობისა და ნაკეთობების ხარისხის შეფასების ჩაღვლით. **ISO**-ს საერთაშორისო სტანდარტების მომხმარებლებია - სამრეწველო და საქმიანი წრეები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მომხმარებლები და საზოგადოება მთლიანობაში.

ISO დიდ ყურადღებას აქცევს სავაჭრო - ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ითხოვს განსაზღვრული გადაწყვეტილებების განვითარებას საბაზრო ეკონომიკისა და იმ სქემების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო სისტემების პოტენციური შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, ამასთანავე, პირველ რიგში, განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებისა და გლობალური ბაზრის თანასწორუფლებიან პირობებში.

დღეისათვის აუცილებელ პირობას ყველა ქვეყანაში წარმოადგენს რთული პროდუქციის გამოცდა მისი უსაფრთხოების, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საშიშროების მიმართ ტექნიკური სახელმძღვანელოების მოთხოვნების შესაბამისობაზე პროდუქციის რეალიზაციამდე. **ISO** - მ დიდი წვლილი შეიტანა სტანდარტების დიდი რაოდენობის შემუშავებაში, რომლის შესაბამისობაზეც ფასდება გამოსაშვები პროდუქცია, და აგრეთვე გამოცდის სტანდარტული მეთოდების შემუშავებაში, რომლებიც შესაძლებელს ხდიან შედეგების შედარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ISO და **IEC** ერთობლივად ამუშავებენ **ISO/IEC**-ის სახელმძღვანელოებს, რომლებშიც მოცემულია შესაბამისობის შეფასების სხვადასხვა ასპექტები. რნიშნულ სახელმძღვანელოებში განხილულ ნებაყოფლობითი კრიტერიუმები შედეგია საერთაშორისო კონსენსუსისა საუკეთესო ხერხებისა და მიდგომების მიმართ. ათი გამოყენება უზრუნველყოფს მექანიზმებითობისა და მოწესრიგების შესაბამისობის შეფასებას მთელს მსოფლიოში და ამით ხელს უწყობს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.